შპს „ ფარაკო „

ს/კ 405354263

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში;
2. ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:
   2.1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
   2.2. მოგება–ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება;
   2.3. კაპიტალის მოძრაობის უწყისი;
3. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის და მისი საქმიანობის შესახებ;
4. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები, სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები;
5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება;
6. მნიშვნელოვანი სააღიცხვო შეფასებები მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ინდივიდულაური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს)

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

• მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

• ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას

• დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე

• საწარმოს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია

• კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

• ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;

• სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

• კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და

• თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 10 სექტემბრს.

შპს „ფარაკო“ ს დირექტორი :
არაშ აკბარი

ქ.თბილისი , საქართველო
2023 წ 10 სექტემბერი

შპს " ფარაკოს " ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული მდგომარეობით

აქტივები	*შენიშვნა*	**2022**	**2021**	**2020**
გრძელვადიანი აქტივები		**(ლარი)**	**(ლარი)**	**(ლარი)**
ძირითადი საშუალებები				
მანქანა– დანადგარები		459960	491283	544665
სატრანსპორტო საშუალებები		24375	66467	51645
ავეჯი და სხვა ინვენტარი		114327	56381	46945
ოფისის აღჭურვილობა	*1*		62283	38567
დაუმთავრებელი მშენებლობა (იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა)		0	-	130471
იჯარით აღებული შენობა - ნაგებობები		95079	112279	-
არამატერიალური აქტივები				
ლიცენზიები(პროგრამული უზრუნველყოფა)		3701	4184	2570
სასაქონლო ნიშანი	*2*	2411		
სულ გრძელვადიანი აქტივები		**699852**	**792877**	**814862**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	*3*	715631	15204	6650
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები (მარაგები)				
ნედლეული და მასალები		1110064	504572	496785
დაუმთავრებელი წარმოება		-	-	-
მზა პროდუქცია		69074	71798	1220
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	*4*	9248	8165	-
მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან და მომსახურეობის გაწევიდან	*5*	1873709	28031	11225
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები (წინასწარ ანაზღაურებული ხარჯი)	*6*	39324	40854	46796
საგადასახადო აქტივი		-		**60416**
სულ მოკლევადიანი აქტივები		**3817050**	**668624**	**623091**
სულ გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქტივები		**4516902**	**1461501**	**1437953**

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

ვალდებულებები

მოწოდებიდან და მომსახურეობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	*7*	187732	19597	**370234**
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	*8*	194414	25742	-

მიღებული ავანსები	*9*	361	93156	1960.00
მოკლევადიანი სესხები ბანკებიდან	*10*	756560		-
მოკლევადიანი სესხები პარტნიორებისაგან	*11*	55272	-	-
გადასახდელი ხელფასები		60	2160	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		-		
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**1194398**	**140655**	**372194**
გრძელვადიანი სესხები		-	-	-
გადავადებული გადასახადი		-	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
პარტნიორთა საწესდებო კაპიტალი	*12*	**4908641**	**3364082**	**1782021**
გაუნაწილებელი მოგება	*13*	**(1586137)**	**(2043237)**	**(716261)**
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		**3322504**	**1320845**	**1065760**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**4516902**	**1461501**	**1437954**

დირექტორი : არაშ აკბარი

მთავარი ბუღალტერი: თამთა გოჩელაშვილი

შპს " ფარაკოს" 2022 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022 (ლარი)	2021 (ლარი)
საქონლის /მომსახურეობის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი			
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	*14*	5134188	451172
მომსახურეობის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	*15*	52066	20285
გაყიდული საქონელი დაბრუნება და ფასდათმობა		(1695)	(995)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	*16*	(2864506)	(304490)
საერთო მოგება		**2320053**	**165972**
სხვა საოპერაციო შემოსავალი			16139
დასაქმებულთა ანაზღაურება	*17*	(1083739)	(665841)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(174252)	(159194)
იჯარის ხარჯი	*18*	(456466)	(329884)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	*19*	(324464)	(348682)
ფინანსური ხარჯი		(22619)	
სულ საოპერაციო ხარჯები		(2061540)	(1503601)
საოპერაციო მოგება/ზარალი		**258 513.00**	**(1321490)**
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	*20*	233604	352
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(35017)	(5836)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		457100	(1326974)
მოგების გადასახადის ხარჯი			-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება /ზარალი		**457100**	**(1326974)**

2022წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)

ძირითადი საშუალებების(მათშორის ,ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		-
სხვა(მ.შ წილი ერთობლივი მეკავშირე დაწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		-
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი), სულ:		-
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	**457100**	**(1326974)**

დირექტორი : არაშ აკბარი

მთავარი ბუღალტერი: თამთა გოჩელაშვილი

2022 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საკუთარი კაპიტალი (ლარი)	გადაფასების ნამეტი(ლარი)	გაუნაწილებელი მოგება(ლარი)	სულ საკუთარი კაპიტალი(ლარი)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემრისათვის	3364082	-	-2043237	1320845
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა	-	-	(-)	(-)
გადაანგარიშებული ნაშთი	3364082	-	-2043237	1320845
გაცემული დივიდენდები	-		(-)	(-)
დამატებითი ინვესტიციები	-	-	-	-
სულ მოცემული წლის სრული შემოსავალი	1544288	-	457371	2001659
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	4908370	–	-1585866	3322504

სააღიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

კომპანიის შესახებ ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„ფარაკო“** (ს/კ.: 405354263) რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრი ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წლის 20 სექტემბრიდან.

საწარმოს ფაქტიური და იურიდიული მისამართი გახლავთ: ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ავეტიკ ისააკიანის ჩიხი №2.

საწარმოს ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სამზარეულო ავეჯის და სხვადასხვა ტიპის ავეჯის წარმოება და რეალიზაცია.

შპს ფარაკო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაფუძნებულია 2 (ორი) არამეწარმე ფიზიკური პირის მიერ. (საჯარო რეესტრის განც 22160290 19/12/2022)

საზოგადოების წილები და კაპიტალში მათი მონაწილეობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მეჰდი აკბარი - 01111103305
(საქართველო/ირანის ისალმური რესპუბლიკა) - 95 %

არაშ აკბარი - 61301094979
(საქართველო/ირანის ისლამური რესპუბლიკა) – 5%

ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „ფარაკოს“-ის მესამე წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ , ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები
საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის ,ანგრაიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას .ძირითად საბალანსო ანგრიშებს შესაძლებელი დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები .ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით .

საგადასახადო კანონმდებლობა.

საწარმო თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ერთეულებმადე , გარდა იმ შემთხვევისა , როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე: - საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“; - საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“; - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.
ფულადი სახსრები კომპანიის წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ნომინალით.

შენიშვნა N 3

ფული და ფულის ექვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად :

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

	2022	2021	2020
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ნაგარიშები	**715631**	15204	6650
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	-	-	-
სულ:	715631	15204	6650

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირების გადასახადისაგან განთავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება გამოკლებულად .

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.

გადახდილი ავანსები (წინასწარი გადახდები)

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

შენიშვნა N 5, N6 .

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	2022	*2021*	*2020*
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1873709	28031	11225
გადახდილი ავანსები	39324	40854	46796
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-	-
სულ:	**1913033**	**68885**	**58020**

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით .ხოლო შემდგომ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება.
ყოველთვიურად, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე.
სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდია - უწყვეტი -
სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია არის - „საშუალო შეწონილი მეთოდი“ .
დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები ჩამოწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით.

სხვა აქტივების აღრიცხვა

მრავალჯერადი გამოყენების აქტივები რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძებელია ,აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.
სპეც-ტანსაცმელი და შრომის დაცის საშალებები აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.

ცალკეული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

შიდა მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში აისახება და ყოველი თვის ბოლოს გახარჯული მარაგების მიხედვით ჩამოიწერება სხვა საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აცილებელობის ნივთები და მასალები (კატრიჯები ,დისკები ,ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) აისახება მარაგებში და პერიოდულად ჩამოიწერება აქტის საფუძველზე და მიეკუთვენა კომპიუტერულ ხარჯებს.
მასალები რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის შემადგენლობაში და გამოიყენება როგორც დამხარე ტექნოლოგიური საშუალება ჩამოიწერება შესაბამისი აქტის საფუძველზე.
სამშენებელო მასალები რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის ,ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე.

შენიშვნა N 4

სასაქონლო მატერიალური მარაგები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	2022	***2021***	***2020***
ნედლეული და მასალები	1110064	504572	496785
დაუმთავრებელი წარმოება	-	-	-
მზა პროდუქცია	69074	71798	1220
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	9248	8165	-
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები:	**1188386**	**584535**	**498005**

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება:

ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებუ;ლებით რომელიც მოიცას :
ნასყიდობის ფასს ,განბაჟების ხარჯებს ,არადაბრუნებად გადასახადებს ,
ტრანსპორტირების,მონტაჟისა და სამუშაო მდომარეობაში მოყვანის ხაჯებს
საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებების ღირებულებაში არ შეიტანება მოგება (გეგმიური დაგროვება);
უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებებით ;
ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება საბალანსო ღირებულებით ;
იმ შემთხვევაში , თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამგდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად;
საწარმო ძირითადი საშუალებებების გადაფასეხბას ახდენს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან .
მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ბ) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში

გ)ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.
ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგიური საექსპულატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას.
სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო

ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდგეგი განაკვეთები:

შენობა- ნაგებობები - 20 წელი ;

მანქანა -დანადგარები 7 წელი ;

საოფისე ინვენტარი - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 3 წელი;

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა

აღიარების შეწყვეტა ძირითადი საშუალების აღიარება წყდება: (ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან (ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი

განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის

შენიშვნა 1							
	მანქანა დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული მოწყობილობები	ჯამი
ლარი							
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	*491283*	*56380*	*112279*	*66467*	*62283*	-	*788692*
2022 წლის შესყიდვა	232793	33831.65	0	0	18709.15	0	285333.8
გასვლა	-209687	-10556.5	0	-38840	-10208.78	0	-269292.28
გაუფასურება	0	0	0	0	0	0	0
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია	0	0	0	0	0	0	0
გადაფასების რეზერვი	0	0	0	0	0	0	0
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	704640.00	112042	130979	37026	97451	176.26	1082138.00
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის განმავლობაში	-244681	-50830	-35900	-12651	-44512	-	-388574
2022 წლის ბოლოს საბალანსო მდგომარეობით	459959.00	61212.00	95079.00	24375.00	52939.00	176.26	693740.26

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას,სასაქონლო ნიშანს რომელიც თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით.
შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით , რომელიც მოიცავს ნასყიდბის ფასს ,განბაჟების ხარჯებს ,არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის;
უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით; არამატერიალური აქტივი , ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდი აქტივისათვის სასარგებლო მომსახურეობის შეფასებული ვადის განმავლობაში , რომელიც შეადგენს 5 წელს . ამასთან სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის ინდივიდუალურად.
თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა , რომ ამორტიზაციის ნორმა , აქტივის სასარგებლო მომსახურეობის ვადა , ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცალა , ახალო მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემულ აქტივზე ცვეთა ჩასწორდება პერსპექიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.
იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლომატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო

ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების
ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების)
თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ში, ან ზარალ-ში.

შენიშვნა 2	პროგრამული უზრუნველყოფა/ლიცენზიები	სასაქონლო ნიშანი	ჯამი
არამატერიალური აქტივები			
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	4184.5	0	4184.5
გასვლა	0	0	0
შემოსვლა	0	2765	2765
2022 წლის ბოლოს მდგომარებით	4184.5	2765	6949.5
დაგროვილი ამორტიზაცია 2022 წლის განმავლობაში	-483.05	-355	-838.05
2022 წლის საბალანსო მდგომარეობით	3701	2410	6111

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება . საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში , საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით.

საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

შენიშვნა N 7 ; N9; N14

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2022	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები	187732	19597	370234
მიღებული ავანსები	361	93156	1960.00
გადასახდელი ხელფასები	60	2160	
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	**188153**	**114913**	**372194**

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები (შენიშვნა 10)

2022 წლის 31 დეკემბრისათვის მოკლევადიანი სესხების განყოფილებაში ნაგულისხმებია თიბისი ბანაკიდან აღებული საბანკო სასესხო ვალდებულება რომელიც გამოსახულია უცხოურ ვალუტაში და შეადგენს 280 000 აშშ (ორასოცხმოციათასი) დოლარს , საანგარშგებო პერიოდის ბოლოსათვის გადაანგარიშებული ნაშთი ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 756 560 (შვიდასორმოცდათექვსმეტილარიდახუთასსამოცი) ლარს.
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოხდა სასესხო ვალდებულების გადაანგარიშება რის შედეგადაც 980 ლარის არასაოპერაციო მოგება მივიღეთ.
ბანკის სესხები და ოვერდრაფტების საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით მოგება ზარალში ასახვით.
იხილეთ სასესხო გრაფიკი

თარიღი	გაცემა	ნაშთი	ძირითადი თანხა	პროცენტი	დაზღვევა	საკომისიო	სულ	ვალუტა
29/12/2022	280 000.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	USD
20/01/2023	0.00	257 042.21	22 957.79	1 350.14	0.00	0.00	24 307.93	USD
20/02/2023	0.00	234 480.76	22 561.45	1 746.48	0.00	0.00	24 307.93	USD
20/03/2023	0.00	211 611.84	22 868.92	1 439.01	0.00	0.00	24 307.93	USD
20/04/2023	0.00	188 741.71	22 870.13	1 437.80	0.00	0.00	24 307.93	USD
20/05/2023	0.00	165 674.82	23 066.89	1 241.04	0.00	0.00	24 307.93	USD
27/06/2023	0.00	142 741.42	22 933.40	1 379.87	0.00	0.00	24 313.27	USD
20/07/2023	0.00	119 147.72	23 593.70	719.57	0.00	0.00	24 313.27	USD
20/08/2023	0.00	95 644.00	23 503.72	809.55	0.00	0.00	24 313.27	USD
20/09/2023	0.00	71 980.59	23 663.41	649.86	0.00	0.00	24 313.27	USD
20/10/2023	0.00	48 140.62	23 839.97	473.30	0.00	0.00	24 313.27	USD

20/11/2023	0.00	24 154.44	23 986.18	327.09	0.00	0.00	24 313.27	USD
20/12/2023	0.00	0.00	24 154.44	158.82	0.00	0.00	24 313.26	USD

კომპანიის პარტნიორიდან მიღებული სესხები (შენიშვნა 11)

2022 წლის 31 დეკემბრისათვის სესხები პარტნიორებისაგან განყოფილებაში ნაგულისხმებია პარნიორისა და დირექტორის არაშ აკბარის მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება რომელიც ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 55271,67 (ორმოცდათხუთმეტიათასორასსამოცდათერთმეტი ლარიდა სამოცდაშვიდი)ლარი

საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა N12)

საწარმოს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის ბაზა, რომელიც დააკმაყოფილებს საწარმოს საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთა ნდობის შენარჩუნებას. ეს მიიღწევა ფულადი ნაკადების ეფექტური მართვით, საწარმოს შემოსავლებისა და მოგების, ასევე გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (სააქციო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.

დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნებში



2022 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება				
	საკუთარი კაპიტალი (ლარი)	გადაფასების ნამეტი(ლარი)	გაუნაწილებელი მოგება(ლარი)	სულ საკუთარი კაპიტალი(ლარი)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემრისათვის	3364082	-	-2043237	1320845
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა	-	-	(-)	(-)
გადაანგარიშებული ნაშთი	3364082	-	-2043237	1320845
გაცემული დივიდენდები	-		(-)	(-)
დამატებითი ინვესტიციები	-	-	-	-
სულ მოცემული წლის სრული შემოსავალი	1544288	-	457371	2001659
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	4908370		-1585866	3322504

გაუნაწილებელი მოგება შენიშვნა N13

გაუნაწილებელი მოგება შესაბამისი პერიოდების მიხედვით შემდეგი არის:

2022	2021	2020
457100	(1326976)	(699783)

საგადასახადო ვალდებულებები (შენიშვნა N8)

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება,როგორც საგადასახადო აქტივები.

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (2022 წლის 31 დეკემბრისათვის) შადგენს :. 194414 ლარს

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი.

მიმდინარე პერიოდიში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინრე წლის დასაბეგრ მოგებას.
გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან. (ე.წ დროებით სხვაობასთან) მიმართებით.
ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით , რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის საგადასახადო მოგებას, აღიარდება გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები.

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება საწარმოს წარმოეშობა მაშინ, როცა მოხდება მოგების განაწილება. იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა: თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს. საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

შემოსავლების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

-შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით ;

-მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად ,თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება .

-შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით;

შენიშვნა 9

ამონაგები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	2022	2021
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	5135883	452167
მომსახურეობის რეალიზაციიდან მირებული შემოსავალი	52066	20285
სულ საქონლის და მომსახურეობიდან მიღებული შემოსავალი	**5 187 949**	**472452**

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

შენიშვნა 10

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ ხარჯებს.

კომპანია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშებას ანხორციელებს, პროდუქციაზე ყველა პირდაპირი ხარჯების და ზედნადები ხარჯების გათვალისწინებით. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება მოიცავს - ნედლეულის შესყიდვის ფასს, ტრანსპორტირების ხარჯს , და ყველა პირდაპირ ხარჯს რომელიც საჭირო არის აღნიშნული პროდუქციის საწყობში მოტანამდე .
მზა პროდუქციის თვითღირებულება გაიანგარიშება - აღნიშნულ პროდუქტზე ყველა პირდაპირი და ზედნადები ხარჯის დარიცხვით კერძოდ, სასაქონლო მატერიალურ მარაგების შესყიდვის ფასს, ტრანპორტირების ხარჯს , კონვერსიის ხარჯს, მუშათა ხელფასებს და ყველა იმ ხარჯს რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული პროდუქციის საწარმოებლად.

ხარჯების აღიარება
შენიშნვნა 11, 13

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.
ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- ხარჯების აღრიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით;
- ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს;

- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად;

იჯარა

შენიშვნა 12

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე.ხელშეკრულება არის , ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიკური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში

აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია

ფინანსური რისკები

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია ცვალებადპროცენტიანი სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

საეჭვო ვალების რეზერვი.

საწარმო კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საეჭვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას. ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);

- კანონმდებლობიდან; ან

- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც: წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და - შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად.
წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.
2020 წლის 31 დეკემბერს , 2021 წლის 31 დეკემბერს , 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის

გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3,2766	4,0233
2021 წლის 31 დეკემბერი	3,0976	3,5040
2022 წლის 31 დეკემბერი	2,7020	2,8844

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა. (10-09-2023)

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 10 სექტემერს